

შპს ოლდ ლამი

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. მომზადების საფუძვლები	9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	9
4. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	11
5. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	16

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ოლდ ლამი-ს ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ოლდ ლამი-ს (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს ოლდ ლამი-ს ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის მარაგი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 4 099 143 ლარის, 3 199 619 ლარის და 2 188 649 ლარის ღირებულებით. ხელმძღვანელობამ მარაგი აღრიცხა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. აუდიტის ჩატარების პროცესში ვერ მოხდა საკმარისი და ობიექტური მტკიცებულებების მოპოვება სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთის დადასტურების მიზნით.

კომპანიის ნაღდი ფულის ნაშთი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 107815 ლარის, 58795 ლარის და 45665 ლარის ოდენობით. აუდიტის ჩატარების პროცესში ვერ მოხდა საკმარისი და ობიექტური მტკიცებულებების მოპოვება ფულადი სახსრების ნაშთის დადასტურების მიზნით.

აუდიტის ჩატარების პროცესში კომპანიის მენეჯმენტის მხრიდან ვერ იქნა უზრუნველყოფილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისა და ფულადი სახსრების ინვენტარიზაციის ჩატარება, რაც უზრუნველყოფდა აუდიტის ჩატარებისთვის საჭირო მტკიცებულებების მოპოვებას წარმოდგენილ ფინანსური ანგარიშგებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგებისა და ფულადი სახსრების ნაშთის დადასტურების მიზნით.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ქვემოთ, ჩვენი დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითადი საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებული მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. აუდიტის ძირითადი საკითხები შერჩეულია იმ საკითხებიდან რაც განხილული იყო მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან, თუმცა არ მოიცავს ყველა საკითხს, რაც მათთან იქნა განხილული. ჩვენი ანგარიშის „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ აზრად მიგვაჩნია, რომ ჩვენი პირობითი მოსაზრების საფუძველი საკითხებთან დამატებით, აუდიტის ძირითად საკითხებად ჩავთვლით აგრეთვე ქვემოთ

ჩამოთვლილი საკითხები. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ჩვენი აუდიტორული პროცედურები დაგეგმილი იყო მთლიანი ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ არის მოდიფიცირებული ქვემოთ ჩამოთვლილი არცერთი ძირითადი საკითხის გამო და ჩვენ არ გამოვთქვამთ ცალკე მოსაზრებას რომელიმე ამ ინდივიდუალურ საკითხზე.

ძირითადი საშუალებები

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიხედვით კომპანიას ბალანსზე ერიცხება ძირითადი საშუალებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2 765 078 ლარის ღირებულების, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2 888 964 ლარის ღირებულების და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 2 454 567 ლარის ღირებულების.

საწარმოს მიერ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის განკუთვნილ ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის განსაზღვრულია ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადა ხელახლა, შესაბამისად შეცვლილია ცვეთის კოეფიციენტი.

საწარმო ძირითად საშუალებების აღიარებს ისტორიული ღირებულებით. ძირითადი საშუალებების ღირებულება პერიოდების მანძილზე გაზრდილია კაპიტალიზირებული რემონტის ხარჯით, შემცირებულია ძირითადი საშუალებების გასვლით. ძირითადი საშუალებების ნაწილში არსებული ცვლილებები ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ნაშთებში, მოგება-ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში.

აუდიტორული შემოწმებისას ჩვენს მიერ ჩატარდა შემდეგი კონტროლის პროცედურები საწყის ნაშთებზე.

- მოპოვებულ იქნა ძირითადი საშუალებების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- მოვიპოვეთ მტკიცებულებები ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციაში შესვლისთვის მზადყოფნის თარიღების შესახებ;
- სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად შემოწმებულ იქნა აკუმულირებული ცვეთის ღირებულების სისწორე 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით;
- შერჩევის მეთოდით გადავამოწმეთ ცვეთის დარიცხვის სისწორე;
- გადამოწმებული შედეგები შევუდარეთ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მონაცემებს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, სადაც აუცილებელია გახსნას ინფორმაცია საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოიყენოს მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენი მიზანია, ჩავატაროთ აუდიტი იმგვარად, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის იმის გარანტი რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით

ჩატარებული აუდიტი ყოველთვის უზრუნველყოფს, რომ იგი აღმოაჩენს არსებით უზუსტობას მისი არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ითვლება, რომ იგი მატერიალურია, თუ ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად, მოსალოდნელია, რომ გავლენას იქონიებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე:

ჩვენ ასევე:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესაზრების გამოსახად;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, სამართლიანად ასახავენ თუ არა ისინი მოვლენებსა და ტრანზაქციებს.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევაში, თვითონ არ გადაწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი

შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

აუდიტორთა დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

ირმა გოგალაძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-429918**)

შპს „IG GROUP“ სახელით

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2019 წელი

შპს ოლდ ლამი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

		2018	2017
	შენიშვნა	ლარი	ლარი
ამონაგები	10	26 686 758	21 838 290
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10	(22 504 373)	(18 881 753)
საერთო მოგება		4 182 385	2 956 537
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	11	(1 113 966)	(975 601)
სხვა ფინანსური შემოსავალი	12	125 720	373 377
სხვა ფინანსური ხარჯი	13	(172 898)	(202 551)
მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	-	-	-
განსაკუთრებული შემოსავლები	-	-	-
აუდიტორული მომსახურების ხარჯი		(15 000)	-
მოგება გადასახადით დაბეგვრამდე		3 006 241	2 151 762
მოგების გადასახადი		(3 981)	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		3 002 260	2 151 762

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ნათია გოგაძე

მთავარი ბუღალტერი _____ ლევან ოტიაშვილი

შპს ოლდ ლამი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

		31.12.2018 ლარი	31.12.2017 ლარი	01.01.2017 ლარი
	შენიშვნა			
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	694 837	80 620	165 889
სავაჭრო მოთხოვნები	6	1 078 734	1 058 683	820 429
მიმდინარე სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	4	4 099 143	3 119 619	2 188 649
სხვა აქტივები	8	83 975	18 391	
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	2 765 078	2 888 964	2 454 567
არამატერიალური აქტივები	6	2 802	3 135	3 468
სულ აქტივები		8 724 569	7 169 412	5 633 002
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	7	831 422	1 388 995	2 148 576
სხვა ფინანსური ვალდებულებები	8			7 149
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		1 265 339	1 590 659	1 419 282
სულ ვალდებულებები		2 096 761	2 979 654	3 575 007
საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი	9	920 000	800 000	820 000
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	9	2 705 548	1 237 995	408 117
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი	9	3 002 260	2 151 763	829 878
სულ საკუთარი კაპიტალი		6 627 808	4 189 758	2 057 995
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		8 724 569	7 169 412	5 633 002

შპს ოლდ ლამი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	სულ კაპიტალი ლარი
ნაშთი 2017 წლი 1 იანვარს	820000	1237995	2 057 995
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-20000		(20 000)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		2151763	2 151 763
გადახდილი დივიდენდები			-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	800 000	3 389 758	4 189 758
კაპიტალის ზრდა/შემცირება	120 000		120 000
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		3 002 260	3 002 260
გადახდილი დივიდენდები		(684 210)	(684 210)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	920 000	5 707 808	6 627 808

შპს ოლდ ლამი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		3 002 260	2 151 762
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	6	169 048	130 492
გადაფასების რეზერვი		-	-
უცხოურ ვალუტაში ოპერ. მიღებული მოგება		(27 732)	(42 499)
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება:			-
ცვლილება მარაგებში		(979 524)	(930 970)
ცვლილება დებიტორულ დავალიანებაში	6	(20 051)	(238 254)
ცვლილება კრედიტორულ დავალიანებაში	8	(557 573)	(759 581)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	9	(65 584)	(25 540)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		1 520 844	285 410
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	5	(44 829)	(779 021)
ძირითადი საშუალებების გასვლა	5	-	214 465
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(44 829)	(564 556)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
კაპიტალის ზრდა		120 000	(20 000)
გადახდილი სესხები		(325 320)	171 377
გადახდილი დივიდენდები		(684 210)	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(889 530)	151 377
სავალუტო კურსის ეფექტი		27 732	42 499
ნაშთი წლის დასაწყისში		80 620	165 889
წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში		586 485	(127 768)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	4	694 837	80 620

9 - 21 გვერდებზე წამოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ოლდ ლამი (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2011 წლის 31 აგვისტოს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ნამალადევის რაიონი, ქუჩა ერისთავი N 1.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა ხე-ტყის მასალით, მერქნით და სამშენებლო მასალებით მოვაჭრე აგენტების საქმიანობა, შპონის ფურცლების და ხის პანელების წარმოება.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებელი და საწესდებო კაპიტალის 100%-იანი მფლობელი, ასევე დირექტორი არის ნათია გოგაძე.

თანამშრომელთა რაოდენობა 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით იყო 58, 54, 50 ადამიანი შესაბამისად.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

2017 წლის 1 იანვრამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, მსს ფასს-ებზე გადასვლას კომპანიის მიერ დაკორექტირდა ძირითადი საშუალებების საწყისი ნაშთების საბალანსო ღირებულებები, დაგროვილი ცვტა.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს იმ ქვეყნის ვალუტას, სადაც ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა) - ქართულ ლარს.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და მფლობელს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში.

სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივები გაუფასურებაზე ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები ითვლება გაუფასურებულად, თუ არსებობს ობიექტური რწმუნება იმისა, რომ ერთი ან მეტი ფაქტორის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის წარმოქმნის შემდეგ და მომავალში მისაღებ ფულად სახსრებზე აქვს უარყოფითი გავლენა. აღნიშნული კომპანიას ავალდებულებს შეაფასოს მომავალში მისაღები ფულადი სახსრები. მეორეს მხრივ, აღნიშნული შეფასებები არ არის ბოლომდე სანდო, რადგან მოიცავს მომავალ დაშვებებს. მნიშვნელოვანმა და განუჭვრეტელმა ცვლილებებმა, იმ დაშვებებსა და შეფასებებში, რომლებიც მონაწილეობენ გაუფასურების დაანგარიშებაში, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სხვაობა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციისგან.

შპს ოლდ ლამი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

3. ფული და ფულის ექვივალენტები

	2018	2017
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	12 013	54 068
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	95 802	4 727
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	556 003	19 556
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	31 019	2 269
სულ	694 837	80 620

4. მიმდინარე სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	2018	2017
საქონელი	4 096 461	3 117 441
ნედლეული და მასალები	2 005	1 881
დაუმთავრებელი წარმოება	671	297
	-	-
სულ	4 099 143	3 119 619

5. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთე ბი	შენობა	მანქანა- დანადგარე ბი	ოფისის აღჭურვი ლობა	სატრანსპ ორტო საშუალებ ები	ავიჯი და სხვა ინვენტარ ი	იჯარით აღებული ქონების კეთილმ ოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება								
01 იანვარი 2018	1209819	842 133	579 787	311 579	178 846	1 392	22 275	3 145 831
შეძენა				21 299	23 530	-		44 829
გასვლა				-				-
ისტორიული ღირებულება 31 დეკემბერი 2018	1209819	842 133	579 787	332 878	202 376	1 392	22 275	3 190 660
								-
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2017		(116476)	(32 830)	(43 766)	(53 948)	(724)	(9 122)	(256 867)
ცვეთა		42 440	72 393	32 557	19 715	174	1 435	168 715
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2018		(158917)	(105 223)	(76 323)	(73 664)	(898)	(10 557)	(425 582)
								-
წმინდა საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2017	1209819	725 657	546 957	267 813	124 898	668	13 154	2 888 964
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2018	1209819	683 216	474 564	256 555	128 712	494	11 718	2 765 078

შპს ოლდ ლამი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

6. სავაჭრო მოთხოვნები

	2018	2017
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1 074 158	1 054 467
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	426	66
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	4 150	4 150
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები-საგადასახადო მოთხოვნა	83975	18391
სულ	1 162 709	1 077 074

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

გადახდილი ავანსები არ არის ვადაგადაცილებული და შესაბამისად არც გაუფასურებული.

7. სავაჭრო ვალდებულებები

	2018	2017
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი	(394 493)	(582 180)
მოკლევადიანი სესხები	(10 298)	(583 864)
მიღებული ავანსი	(426 632)	(222 952)
	(831 422)	(1 388 996)

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

8. სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

	2018	2017
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	(235 214)	-
გადასახდელი დღგ	(4 804 210)	(870)
გადასახდელი დღგ (ავანსი)	(30)	-
გადასახდელი მოგების გადასახადი	(3 981)	-
ჩასათვლელი დღგ	3 862 211	-
საბაჟოზე გადახდილი დღგ	391 202	-
სსიპ-სთვის გადახდილი დღგ	1 420	(45)
გაცემული ავანსის დღგ	30	-
ქონების გადასახადი	11 324	11 324
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	861 223	7 982
	83 975	18 391

გრძელვადიანი ვალდებულებები

გრძელვადიანი სესხები	(1 265 339)	(1 590 659)
----------------------	-------------	-------------

შპს ოლდ ლამი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს გაერთიანებულ ანგარიშზე. შედეგად, 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარდგენილი აქვს ნეტო ღირებულებით, როგორც აქტივი 83975 ; 18391 და ვალდებულება 7149 ლარის ოდენობით, შესაბამისად.

კომპანიას 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სესხები მიღებული აქვს სს საქართველოს ბანკიდან გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე საკრედიტო ხაზის და უზრუნველყოფილი სესხის სახით. მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის ბალანსზე არსებული უძრავი ქონებით და სატრანსპორტო საშუალებებით.

9. საკუთარი კაპიტალი

საიდენტიფიკაციო ნომერი	404908784		
რეგისტრაციის თარიღი	31.08.2011		
იურიდიული მისამართი	საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ერისთავის ქ. N1		
დირექტორი	ნათია გოგაძე	17001000828	
დირექტორი	ზაზა ჩქარეული	44001003749	
მესაკუთრე	ნათია გოგაძე	17001000828	100%

10 საერთო მოგება

	2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	26 677 592
საცალო რეალიზაცია	1 618 502
ი/მ "შოთა ბაქრაძე"	1 261 266
შპს ელ-თი კომპანია	888 107
შპს "თელავის ავეჯის სახლი"	733 157
შპს ჯი და ჯი G&G 218082018	720 882
სხვ.	21 455 677
შემოსავალი რეალიზაციიდან კომპენსაციის გარეშე	22 559
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	(13 393)
ამონაგები	26 686 758
გაყიდული/შემძენილი საქონელი	(22 504 373)
სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება	-
შემძენილი საქონ. უკან დაბრ. და ფასდათმობა	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(22 504 373)
საერთო მოგება	4 182 385

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება

	2018
სასაქონლო მატერიალური ფასეულობების შესყიდვა	22 001 373
შრომის ანაზღაურების პირდაპირი დანახარჯი	503 000
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	22 504 373

შპს ოლდ ლამი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

11. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2018	2017
ცვეთა და ამორტიზაცია	169 048	130 492
შრომის ანაზღაურება	503 200	470 718
საოფისე ხარჯები	37 990	47 594
ბანკის საკომისიო	7 345	11 179
საიჯარო ქირა	209 015	169 074
კომუნალურების ხარჯი	46 757	24 240
სხვა საერთო ხარჯები	140 611	122 304
	1 113 966	975 601

12. სხვა ფინანსური შემოსავალი

	2018
უსასყიდლოდ მიღებული სარგებელი	94565
საქონლის ზედმეტობის შემოსავალში აღიარება	540
საგარანტიო მომსახურება მომწოდებლების მიერ	2 883
მოგება უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	27 732
	125 720

13. სხვა ფინანსური ხარჯი

	2018
საპროცენტო ხარჯი	(143 047)
უარყოფითი საკურსო სხვაობები	(29 851)
	(172 898)

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

უმაღლესი ხელმძღვანელობის გასამრჯელო შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	კავშირი	2018	2017
		დაკავშირებული მხარის ბალანსი	დაკავშირებული მხარის ბალანსი
ხელფასის ხარჯი		37500	37563
უმაღლესი ხელმძღვანელობის გასამრჯელო	დირექტორი/ დამფუძნებელი	37500	37563

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის აპრილის, მაისის და ივლისის თვეებში კაპიტალი შემცირდა ჯამურად 320 000 ლარით. კომპანიამ შეისყიდა ძირითადი საშუალება, კერძოდ, 223942 ლარის ავტო სატრანსპორტო საშუალება, კომპანიიდან განხორციელდა ძირითადი საშუალების გასვლა წმინდა საბალანსო ღირებულებით 57412 ლარი, ძირითადი საშუალების რეალიზაცია განხორციელდა 49212 ლარად.

16. პირობითი ვალდებულებები**დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები**

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, დივიდენდების გაცემის შემთხვევაში გადასახადელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 909533 ლარი.

სესხის შეზღუდვებთან შესაბამისობა

მიღებულ სესხებთან დაკავშირებით კომპანიას არ გააჩნია ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები. დამატებითი ინფორმაცია მიღებული სესხებისა და მათი უზრუნველყოფის შესახებ იხილეთ შენიშვნაში.

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	<u>აშშ დოლარი</u>	<u>ევრო</u>
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044
კურსი 2017 წლის 1 იანვრისთვის	2.6468	2.7940

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ფულს გზაში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემქმნასთან-გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით, შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას, ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეჭებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულებით გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულებას სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნისვნილოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოხილვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	8
ტრანსპორტი	10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	8
ოფისის აღჭურვილობა	8

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენის და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. მარაგის შემენის დანახარჯები მოიცავს: მათი შემენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, მასალებისა და მომსახურების შემენასთან. სავაჭრო ფასდათმობები არ ჩაირთვება შემენის დანახარჯებში. კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

კომპანია მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15 %, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური

შპს ოლდ ლამი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივით, მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯაროაქტივიდან

ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

თუ ოპერაცია მომსახურების გაწევას გულისხმობს და შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება, საწარმომ ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგები უნდა აღიაროს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. მომსახურების გაწევის ოპერაციის შედეგის საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თუ მომსახურების გაწევა ხდება განუსაზღვრელი რაოდენობის მრავალჯერადი აქტის შედეგად გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საწარმო ამონაგებს აღიარებს თანაბარზომიერად, მომსახურების გაწევის მთელი პერიოდის განმავლობაში, თუ არ არსებობს იმის საფუძველი, რომ რომელიმე სხვა მეთოდის გამოყენებით უფრო ზუსტად შეიძლება მომსახურების შესრულების სტადიის ასახვა. როდესაც რომელიმე აქტი/მოქმედება უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ნებისმიერი, ამონაგების აღიარება გადავადდება მნიშვნელოვანი აქტის შესრულებამდე.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნაში.

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებითი შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან

კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მსს ფასს 33-ე განყოფილების მიხედვით „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

(ა) პირი ამ მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

IG GROUP

Audit Company

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ოლდ ლამი-ს ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს. ოლდ ლამი-ს (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს ოლდ ლამი-ს ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის მარაგი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 4 099 143 ლარის, 3 199 619 ლარის და 2 188 649 ლარის ღირებულებით. ხელმძღვანელობამ მარაგი აღრიცხა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. აუდიტის ჩატარების პროცესში ვერ მოხდა საკმარისი და ობიექტური მტკიცებულებების მოპოვება სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთის დადასტურების მიზნით.

კომპანიის ნაღდი ფულის ნაშთი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 107815 ლარის, 58795 ლარის და 45665 ლარის ოდენობით. აუდიტის ჩატარების პროცესში ვერ მოხდა საკმარისი და ობიექტური მტკიცებულებების მოპოვება ფულადი სახსრების ნაშთის დადასტურების მიზნით.

აუდიტის ჩატარების პროცესში კომპანიის მენეჯმენტის მხრიდან ვერ იქნა უზრუნველყოფილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისა და ფულადი სახსრების ინვენტარიზაციის ჩატარება, რაც უზრუნველყოფდა აუდიტის ჩატარებისთვის საჭირო მტკიცებულებების მოპოვებას წარმოდგენილ ფინანსური ანგარიშგებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგებისა და ფულადი სახსრების ნაშთის დადასტურების მიზნით.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ქვემოთ, ჩვენი დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

IG GROUP

Audit Company

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებული მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. აუდიტის ძირითადი საკითხები შერჩეულია იმ საკითხებიდან რაც განხილული იყო მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან, თუმცა არ მოიცავს ყველა საკითხს, რაც მათთან იქნა განხილული. ჩვენი ანგარიშის "პირობითი მოსაზრების საფუძვლები" აზვაცში განხილულ საკითხებთან დამატებით, აუდიტის ძირითად საკითხებად ჩავთვალეთ აგრეთვე ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხები. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ჩვენი აუდიტორული პროცედურები დაგეგმილი იყო მთლიანი ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ არის მოდიფიცირებული ქვემოთ ჩამოთვლილი არცერთი ძირითადი საკითხის გამო და ჩვენ არ გამოვთქვამთ ცალკე მოსაზრებას რომელიმე ამ ინდივიდუალურ საკითხზე.

ძირითადი საშუალებები

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიხედვით კომპანიას ბალანსზე ერიცხება ძირითადი საშუალებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2 765 078 ლარის ღირებულების, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2 888 964 ლარის ღირებულების და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 2 454 567 ლარის ღირებულების.

საწარმოს მიერ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის განკუთვნილ ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის განსაზღვრულია ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადა ხელახლა, შესაბამისად შეცვლილია ცვეთის კოეფიციენტი.

საწარმო ძირითად საშუალებების აღიარებს ისტორიული ღირებულებით. ძირითადი საშუალებების ღირებულება პერიოდების მანძილზე გაზრდილია კაპიტალიზირებული რემონტის ხარჯით, შემცირებულია ძირითადი საშუალებების გასვლით. ძირითადი საშუალებების ნაწილში არსებული ცვლილებები ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ნაშთებში, მოგება-ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში.

აუდიტორული შემოწმებისას ჩვენს მიერ ჩატარდა შემდეგი კონტროლის პროცედურები საწყის ნაშთებზე.

- მოპოვებულ იქნა ძირითადი საშუალებების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- მოვიპოვეთ მტკიცებულებები ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციაში შესვლისთვის მზადყოფნის თარიღების შესახებ;
- სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად შემოწმებულ იქნა აკუმულირებული ცვეთის ღირებულების სისწორე 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით;
- შერჩევის მეთოდით გადავამოწმეთ ცვეთის დარიცხვის სისწორე;
- გადამოწმებული შედეგები შევუდარეთ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მონაცემებს.

შპს „IG GROUP“ ს/კ 404901095 ქ. თბილისი, ნარკეთლის ბაზრ. 116 ოფისი 331

ბიზნეს ცენტრი „დიდუბე პლავა“ ტელ: 593 561 590

ელ/ფოსტა irma_gogaladze@yahoo.com, irmagogaladze001@gamil.com, info@igaudit.ge

IG GROUP

Audit Company

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, სადაც აუცილებელია გახსნას ინფორმაცია საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოიყენოს მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენი მიზანია, ჩავატაროთ აუდიტი იმგვარად, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის იმის გარანტი რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით

IG GROUP

Audit Company

ჩატარებული აუდიტი ყოველთვის უზრუნველყოფს, რომ იგი აღმოაჩენს არსებით უზუსტობას მისი არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ითვლება, რომ იგი მატერიალურია, თუ ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად, მოსალოდნელია, რომ გავლენას იქონიებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე:

ჩვენ ასევე:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესაზრების გამოსახად;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთი მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, სამართლიანად ასახავენ თუ არა ისინი მოვლენებსა და ტრანზაქციებს.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

IG GROUP

Audit Company

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დაგიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევაში, თვითინ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

აუდიტორთა დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

ირმა გოგალაძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-429918)

შპს „IG GROUP“ სახელით

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2019 წელი



შპს ოლდ ლამი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)


	შენიშვნა	2018 ლარი	2017 ლარი
ამონაგები	10	26 686 758	21 838 290
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10	(22 504 373)	(18 881 753)
საერთო მოგება		4 182 385	2 956 537
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	11	(1 113 966)	(975 601)
სხვა ფინანსური შემოსავალი	12	125 720	373 377
სხვა ფინანსური ხარჯი	13	(172 898)	(202 551)
მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	-	-	-
განსაკუთრებული შემოსავლები	-	-	-
აუდიტორული მომსახურების ხარჯი		(15 000)	-
მოგება გადასახადით დაბეგვრამდე		3 006 241	2 151 762
მოგების გადასახადი		(3 981)	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		3 002 260	2 151 762

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ნათია გოგაძე
ლეონიდა იტიშვილი



შპს „ოლდ ლამი“

მმართველობის ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის წერილი
31 დეკემბერი 2018

სარჩევი

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის3
2. დამოუკიდებელ აუდიტორთა წერილი.....4
3. კომპანიის განვითარების გეგმები.....5
4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ.....5
5. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....6
6. კომპანიის რისკების მიმოხილვა და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ..7
7. ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.....9

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მმართველობის ანგარიშების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „ოლდ ლამი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მმართველობის ანგარიშგება, მომზადებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 30 სექტემბერს.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, საჯარო დაინტერესების პირები, ასევე პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ თავიანთ აუდიტორს და აუდიტორი შეამოწმებს ანგარიშგება მოიცავს თუ არა აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტითა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციებს.

ზემოთ აღნიშნული ნორმატიული ნორმების შესაბამისად ხელმძღვანელობა ამზადებს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- კომპანიის განვითარების გეგმებს;
- ინფორმაციას კომპანიის ფილიალების შესახებ;
- საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები;
- კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ;
- ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

ნათია გოგაძე
აღმასრულებელი დირექტორი

ლევანი ოტიაშვილი
მთავარი ბუღალტერი

დამოუკიდებელ აუდიტორთა წერილი

მმართველობის ანგარიშგება

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და მასთან დაკავშირებულ ჩვენი აუდიტორის ანგარიშს). ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“.

ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ვალდებული ვართ წავიკითხოთ „მმართველობის ანგარიშგება“ და განვსაზღვროთ, „მმართველობის ანგარიშგება“ ხომ არ არის არსებითად შეუსაბამო ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის მიმდინარეობისას მიღებული ჩვენი ცოდნისა, ან სხვაგვარად ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თუ ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ „მმართველობის ანგარიშგება“ არსებით უზუსტობას შეიცავს, მოგვეთხოვება ამ ფაქტის ასახვა ანგარიშში. არ აღმოგვიჩენია რაიმე საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ანგარიშში ასახვა. აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- „მმართველობის ანგარიშგებაში“ იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად;

და

- „მმართველობის ანგარიშგება“ მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმებთან.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით. ჩვენი, როგორც აუდიტორების, პასუხისმგებლობა განსაზღვრულია მხოლოდ იმით, რომ გავცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და შევაფასოთ:

- რამდენად არსებითად თანმიმდევრულია სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებასთან და;
- რამდენად შეიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რაც დადგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

2019 წლის 30 სექტემბერს გამოფუშვით დასკვნა კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შესახებ და ამ წერილის წაკითხვა უნდა მოხდეს აღწერილ დასკვნასთან ერთად.

30 სექტემბერი 2019 წელი

დირექტორი / გარიგების პარტნიორი

შპს „IG GROUP“

კომპანიის განვითარების გეგმები

შპს „ოლდ ლამი“ (შემდგომში „კომპანია“) არის 2011 წლის 31 აგვისტოს საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია - თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ერისთავის ქუჩა N1.

კომპანიის საქმიანობა არის წიბოს, მერქან-ბურბუშელოვანი და მერქან-ბოჭკოვანი ფილების შეძენა, გადამუშავება და რეალიზაცია. ასევე ავეჯის სხვადასხვა აქსესუარების შეძენა-რეალიზაცია.

კომპანია ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს ადგილობრივ ბაზარზე.

2018 წელს კომპანიის შემოსავალი იყო 26686758 ლარი, აქედან წმინდა მოგებას შეადგენდა 3002259 ლარი. მთლიანი შემოსავლიდან მოგება იყო 11%. 2018 წლის დასასრულს თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა შეადგენდა 55 ადამიანს, მათ შორის 14 ქალბატონი.

სუბიექტის სამომავლო განვითარების გეგმები:

2019 წელს კომპანია გეგმავს, რომ განახორციელოს დამატებით თანხების მოძიება წარმოების გასაზრდელად. ამისთვის მიმდინარეობს მუშაობა სს საქართველოს ბანკთან „აწარმოე საქართველოში“ პროექტის ფარგლებში სესხის პირობების შესატანხმებლად. ასევე დაგეგმილია გაყიდვების გაზრდა და ახალ ბაზრებზე შესვლა, პროდუქციის მრავალფეროვნებისა და თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდა. 2019 წელს მენეჯმენტი გეგმავს თანამშრომელთათვის შესრულების შეფასების სისტემების გადახედვას და მათთვის მიზანზე ორიენტირებულ ანაზღაურებას.

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვა

2018 წელს კომპანია არ იყო ჩართული მოქმედებების კვლევებსა და განვითარებაში.

ინფორმაციას კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანიას 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით ჰქონდა 4 ფილიალი თბილისის სხვადასხვა მისამართებზე, სადაც დღემდე ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას.

კომპანია ახორციელებს წარმოებისთვის საჭირო მასალების 90% შეძენას ადგილობრივი მომწოდებლებისგან, ხოლო 10% მასალების შეძენა ხდება სხვადასხვა ქვეყნის უცხოელი მომწოდებლებისგან, ძირითადად კი რუსეთიდან და ჩინეთიდან. კომპანია მის მიერ წარმოებული საქონელს ყიდის როგორც საცალო, ასევე საბითუმო ბაზარზე საქართველოს ყველა რეგიონში. რეალიზაცია ხორციელდება შემსყიდველის მიერ განხორციელებული შეკვეთის შესაბამისად.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2018 წლის განმავლობაში კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა 55 (2017 – 52). 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 58 თანამშრომლიდან 43 მამაკაცია და 15 ქალი.

კომპანიის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება, რომელიც წარმართავს კომპანიის საქმიანობას. კომპანიის სამეურნეო საქმიანობის წარმართვისათვის პარტნიორთა კრება ირჩევს დირექტორს (დირექტორებს), რომლებსაც ეკისრებათ კომპანიის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა, წარმოადგენენ კომპანიის ინტერესებს ყველა ორგანიზაციისა და უწყების წინაშე, აგრეთვე ორგანიზებას უწევს კრების გადაწყვეტილებების შესრულებას და წყვეტს კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე ყველა საკითხს. დირექტორი უფლებამოსილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაამტკიცოს კომპანიის ნორმატიული დოკუმენტები და საშტატო განრიგი, მიიღოს და გაანთავისუფლოს სამუშაოდან თანამშრომლები, წახალისოს ან დასაჯოს ისინი კომპანიაში არსებული შინაგანაწესის შესაბამისად.

კომპანიაში დიდი ყურადღება ექცევა ფინანსური დარღვევების გამოვლინებას, თუმცა მსგავსი კომპანიაში არ გამოვლენილა. დანაშაულის პრევენციის მიზნით მაქსიმალურად არის გამარტივებული და ხელმისაწვდომი საბანკო მომსახურება იმ თანამშრომელთათვის, რომელთაც ხელი მიუწვდებათ ფინანსებზე და კომპანიის კუთვნილი თანხების ჩარიცხვაზე.

ძირითადი ფინანსური და არა-ფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლის ანალიზი შემდეგნაირია:

ლარი	2018
შემოსავალი	26 686 758
მთლიანი მოგება	4 182 385
სუფთა მოგება	3 002 260
მთლიანი შემოსავლის მოგება	11%

ძირითადი არა-ფინანსური მაჩვენებლის ანალიზი შემდეგნაირია:

2018

პორტფოლიოში პროდუქტების (რაოდენობა ცალი)

5

კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან:

საკრედიტო რისკი•

საბაზრო რისკი•

სავალუტო რისკი•

ლიკვიდურობის რისკი•

ბიზნესის სხვა სექტორების მსგავსად, კომპანიას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. კომპანიის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შესაძლებელია რისკის ქვეშ იმყოფებოდეს, შემდეგი სახეობისაა:

ფული და ფულის ექვივალენტები•

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები•

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები•

ძირითადი მიზნები, პოლიტიკები და რისკების განეიტრალების გზები

კომპანიის რისკების მართვა ხორციელდება უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ. უმაღლესი ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, უმაღლესი მენეჯმენტის მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებების ხელმძღვანელობაზე.

ხელმძღვანელობა ამზადებს ყოველთვიურ ანგარიშებს, რითაც მოწმდება არსებული პროცესების, დასახული მიზნებისა და მიღებული პოლიტიკების მართლზომიერება. ხელმძღვანელობის საერთო მიზანია, ამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს ორგანიზაციის საქმიანობაზე.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. საკრედიტო რისკი გამოწვეულია კონტრაგენტისათვის ფულის გასესხებით ან სხვა ტრანზაქციით, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური აქტივის ზრდასთან. კომპანია დგას ძირითადი საკრედიტო რისკის წინაშე კომერციულ ბანკში განთავსებული ფულადი სახსრების შემთხვევაში. კომპანიის მომსახურე ყველა ბანკი მოიაზრება საქართველოში მოქმედ უმსხვილეს ბანკებს შორის.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში გამოხატული საპროცენტო და სასაქონლო ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებით. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში. იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიის ყველა ფინანსური აქტივს და ვალდებულებას გააჩნია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი, კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ შესაძლებელია შეიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს ნაკადების მოძრაობაზე ხშირად ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას არჩეული ვალუტის ფასის ცვლილება. იქიდან გამომდინარე, რომ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები მცირეა, ხოლო ვალდებულებები არსებითია, კომპანიის სავალუტო რისკი მნიშვნელოვანია. საქონლის გაყიდვა ძირითადად ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში. ასევე ხარჯების უმეტესობის დაფარვა ხდება ადგილობრივ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში ხდება მხოლოდ საპროცენტო ხარჯების დაფარვა. არსებობს პოტენციური დანაკარგის რისკი, ადგილობრივი ვალუტის ფასის ზრდის შემთხვევაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ხელმძღვანელობა აკონტროლებს მსგავსი სახის რისკებს ვადიანობის ანალიზის მეშვეობით, რაც განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომდევნო საანგარიშო პერიოდისათვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახორციელებს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესს.

ხელმძღვანელობის პოზიციით, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, საწარმოს მიზნები და პოლიტიკა ფინანსური რისკის მენეჯმენტის მიმართ

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები დაკავშირებულია შემდეგთან:

რისკისა და გაურკვევლობის

1 პოლიტიკური რისკები - არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს შეუძლია ნეგატიური გავლენა იქონიოს პროდუქციის მოთხოვნაზე. ასევე წარმოების მასალების მომწოდებლებზე რუსეთიდან.

ახსნა მენეჯმენტის პასუხი

კომპანია სწრაფად ამრავალფეროვნებს გაყიდვებს. შეძენების მცირე ნაწილია დამოკიდებული რუსულ მომწოდებლებზე და ის ვერ იქონიებს დიდ გავლენას კომპანიაზე.

ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

ნათია გოგაძე
ადმასრულებელი დირექტორი

ლევან ოტიაშვილი
მთავარი ბუღალტერი

დამოუკიდებელ აუდიტორთა წერილი

მმართველობის ანგარიშგება

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და მასთან დაკავშირებულ ჩვენი აუდიტორის ანგარიშს). ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“.

ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ვალდებული ვართ წავიკითხოთ „მმართველობის ანგარიშგება“ და განვსაზღვროთ, „მმართველობის ანგარიშგება“ ხომ არ არის არსებითად შეუსაბამო ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის მიმდინარეობისას მიღებული ჩვენი ცოდნისა, ან სხვაგვარად ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თუ ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ „მმართველობის ანგარიშგება“ არსებით უზუსტობას შეიცავს, მოგვეთხოვება ამ ფაქტის ასახვა ანგარიშში. არ აღმოგვიჩენია რაიმე საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ანგარიშში ასახვა. აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- „მმართველობის ანგარიშგებაში“ იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად;

და

- „მმართველობის ანგარიშგება“ მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმებთან.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით. ჩვენი, როგორც აუდიტორების, პასუხისმგებლობა განსაზღვრულია მხოლოდ იმით, რომ გავცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და შევაფასოთ:

- რამდენად არსებითად თანმიმდევრულია სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებასთან და;
- რამდენად შეიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რაც დადგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

2019 წლის 30 სექტემბერს გამოვუშვით დასკვნა კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შესახებ და ამ წერილის წაკითხვა უნდა მოხდეს აღწერილ დასვენასთან ერთად.

30 სექტემბერი 2019 წელი

დირექტორი / გარიგების პარტნიორი

შპს „IG GROUP“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მმართველობის ანგარიშების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „ოლდ ლამი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.


ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშების მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მმართველობის ანგარიშგება, მომზადებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 30 სექტემბერს.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, საჯარო დაინტერესების პირები, ასევე პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ თავიანთ აუდიტორს და აუდიტორი შეამოწმებს ანგარიშგება მოიცავს თუ არა აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტითა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციებს.

ზემოთ აღნიშნული ნორმატიული ნორმების შესაბამისად ხელმძღვანელობა ამზადებს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- კომპანიის განვითარების გეგმებს;
- ინფორმაციას კომპანიის ფილიალების შესახებ;
- საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები;
- კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ;
- ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.


ნათია გოგაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი




ლევანი ოტიაშვილი
მთავარი ბუღალტერი

ხელმძღვანელობის პოზიციით, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, საწარმოს მიზნები და პოლიტიკა ფინანსური რისკის მენეჯმენტის მიმართ

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები დაკავშირებულია შემდეგთან:

რისკისა და გაურკვევლობის

1 პოლიტიკური რისკები - არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს შეუძლია ნეგატიური გავლენა იქონიოს პროდუქციის მოთხოვნაზე. ასევე წარმოების მასალების მომწოდებლებზე რუსეთიდან.

ახსნა მენეჯმენტის პასუხი

კომპანია სწრაფად ამრავალფეროვნებს გაყიდვებს. შეძენების მცირე ნაწილია დამოკიდებული რუსულ მომწოდებლებზე და ის ვერ იქონიებს დიდ გავლენას კომპანიაზე.


ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.


ნათია გოგაძე
აღმასრულებელი დირექტორი




ლევან ოტიაშვილი
მთავარი ბუღალტერი